საქართველოს მთავრობის

დადგენილება №537

2023 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის მიერ ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის №250 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის მიერ ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის №250 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/06/2021, 300010000.10.003.022806) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის მიერ ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების, გამოუყენებლობის, გადახედვის ან გაუქმების, ასევე ფასთან მიმარებით ვალდებულების დამტკიცების თაობაზე დასკვნის მომზადებისათვის პასუხისმგებელი ორგანოა სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში – შესწავლის ორგანო)“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**